

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფაოს განცხადებისა: ჟურნალი სტრიქონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეორეზე—5 კაპ.
ბელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის“ ფურცლის“ რედაქციაში ქ. № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-კოსკში (ქვეშევთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტორუხოვის სახლში, № 27.
ფოსტის აღმწერი: **თიფლის, в редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моამბე“.** ტელეფონი № 372.

იარაგ გაბრუნდა ასული პატარაშვილისა, ანა დიმიტრას ასული კალატაშვილისა, თამარა დიმიტრას ასული პარნაშკისა და ანა დ. პატარაშვილისა, დამკარგველნი პირველი—თავისი ძვირფასი შვილისა და სხვანი—თავიანთი საყვარელი ნორჩი ღის
მ ა ნ ა ნ ა ს ი,
გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, რომელთაც თანაუგრძნეს საბრალო მშობლებს სიტყვით და წერილით მათ უსამზღვრო მწუხარებაში.
(1—1)

ძარაგ გაბრუნდა ასული პატარაშვილისა, ანა დიმიტრას ასული კალატაშვილისა, თამარა დიმიტრას ასული პარნაშკისა და ანა დ. პატარაშვილისა, აუწყებენ ნათესავთა და ნატობთ, რომ შაბათს, 3 თებერვალს, ორმოცი ღის შესრულების შემდეგ, რაც მათ დაჰკარგეს თავიანთი ძვირფასი უმანკო
მ ა ნ ა ნ ა ს,
ქ. თელავში ღვთის-მშობლის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.
(1—1)

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას:
უმაღლესი კარის გოდუმისტურს. თავ. გ. შერვაშიძის ხელმოწერით იმპერატორმა ნება დართო მიიღოს და ატაროს დანიის ორდენის დანებროვის დიდი გარდა.
ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრი ბაქრაძე რედაქციის გამო გამოირიცხა სამსახურის სიუღბად.

დებულება

30 იანვარს ხელმოწერა იმპერატორი ბრძანდებოდა საზღვარ კადეტ-კორპუსში.
30 იანვარს დედოფალმა ალექსანდრა გოდორეს ასულმა და ჰესსენის დიდმა

ფელეკონი

მ. გ. მ. ნ. ა. ნ. ი.
სამუდამო ქართულ დრამატულ სცენის დარსებობა
გაზაფხულობა საქართველოს დაბა-ქალაქებში
შემდეგ დიდის შრომა - მეცადინეობისათვის თეატრის მოთავეთა და არა ნაკლებ შრომა-წვალეობისა (მათ ხელმოკლეობისა) ახალგაზდა არტისტებისა, რომელთაც გვირგვინი გაქირება, სიცივე და შიმშილი აიძინეს ამ სასიქადულო საქმეზე დამდგართა, როგორც თეატრის საქმეა.—შემდეგ ამ სასიქადულო ვაი-ვაგლახისა და დაბრკოლებისა—1879 წლის გაზაფხულისთვის მხად იყო ამუდამო დასი, შემდგარი უუნაქოებისა არტისტებისაგან, რომელთაც დღეს აქამომ არამც თუ სამაგიერო, სანაცვლო, არაფერ ფერმკრთალად მიმბაძავიც კი ვერავინ მოუძნდათ, მეტადრე ზოგიერთებს!..
ღნიშნულს გაზაფხულამდის ერთად მოღვაწეობდნენ მომავალი სამუდამო სცენის არტისტები და სცენის მოყვარენი; გაზაფხულის მიწურულეებში კი ბევრმა სცენის მოყვარულმა არ ისურვა სამუდამო დასში ჩაერთა და დასტოვა სცენა, თუმცა გული-ხალად აღუთქვა დახმარება დასს საქმეობისაგან.
ასე კეკლუცად შემდგარი დასი რომ არ აღუარებულა და ძლიერ-ძლივობით თავი-

პერცოგინამ დათვალა იქმის ხორის საყვარელი.

სტოპოლი. უკანასკნელ დღეებში დედოფალი არ გაუცეცია, მაგრამ ლოგინიდან ჯერ ვერ აღებდა.

პარიზი. გენერალი ბუარონი იუწყება, რომ 28 იანვარს გაიხსნა წესიერი მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა პეკინსა და პოტინფუს შუა.

კახუბადი. დელოგადან იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ ტრანსკასპში ადგილობრივი მკვიდრი აჯანყებულან ბურების წინააღმდეგ.

პრინსტონი. გენერალმა ბრაბანტმა წარმოსთქვა კრებაზე სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ფერმერები უნდა ჩაეწერონ სამხედრო სამსახურში ახალშენის

თავს-მოყვანილი საქმე არ ჩაშლილიყო, მეტაურებმა გადაწყვიტეს საზაფხულოდ დასის მოგზაურობა ჩვენს დაბა-ქალაქებში. პირველი მოგზაურობა შესდგა 1879 წლის თიბათვეში.

მეთაურთა გადაწყვეტილებით და ბეჭედ-დასმით მოგვმზადეთ სამოგზაუროდ. ჩავალავთ ბარგი, რაც უფრო საჭიროდ მიგვაჩნდა, ორს უზარ-მაზარ სკივრში. ეს ბარგი თვლით ჩამაბარა პატრიცელუმმა გიორგი თუმანიშვილმა და ამთანავე დასძინა: „თუ, ვინცოდა, სხვა ტანისამოსიც დაგვიტრდო, მოიწერეთ და მაშინვე გამოგზავნით, სადაც იქნებითო“. მართლაც და მალე დაგვიტრდა ტანისამოსი—გორშივე.

ერთ მშვენიერ დილას შევიკრიბეთ ტფილისის რკინის გზის სადგურზე. იქვე მოიყარეს თავი ჩვენმა კეთილის მსურველებმა. შემდეგ დარბევისა, მშვიდობით მოგზაურობის და გამარჯვების სურვილის გამოცხადებისა გამცილებელთაგან, ჩავსენ-დით მატარებელში. გამცილებელთ ხელმეორედ გზა დავვილოცეს; ვახსენეთ ღმერთი, პირველი გადავიწერეთ და გავუდგეთ გზას. დასს შევადგენდით—კაცები: ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, ნოდარ ჯორჯაძე, გრიგორ ყიფშიძე და მე. გორში წამოგვეწია ადამა ჩუბინაშვილი კი-დეც საქმრო ტანისამოსით. ბ. ადამი გვეყვანდა ადმინისტრატორად; აგრეთვე იმას ებარა რეკვიზიტის და სხვა სასცენო საქმეობათა მოპოვება; თამაშობაშია იღებდა მონაწი-

დასაცვლად. ბევრი აცხადებს სამხედრო სამსახურში შესვლის სურვილს.

ვილნიუსში. აქ მოვიდა კალენი-დან პოლკოვნიკის დელილის რაზმი. ბურები მიდიან წინ ვანკისფელისაკენ.

ზანაძი. ნანკინიდან იტყობინებიან, რომ ლიუნჩანგმა მოხსენება მიართვა იმპერატორს ფინანსების რეფორმის შესახებ, რომელშიაც ის წინადადებს იძლევა: პირველი, მოისპოს ბაჟის აღება საქონელზე იმპერიის ერთ ადგილიდან მეორეში გადატანის დროს და დაწესდეს ამგვარი გადასახადი უცხოელ საქონლისათვის, რომელიც მოდის ჩინეთის დამოყენებში; მეორე, დაინიშნოს განსაკუთრებული კომისარი, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს უცხოელ ვაჭრობის პირობები და რომელიც შანაიში უნდა ცხოვრობდეს; მესამე, დაწესდეს ერთი დოლარის ღირებულობის ფულის საჭრელი ქარხანა და მეოთხე, მომატებულ იქნას სადამოყრე ტარიფი.

პრინსტონი. ხმა დადის, რომ შაბათ ღამეს დევნი გადვიდა ორანგენს მდინარეზე, ნორვალსონტის ჩრდილოეთით და მიემგზავრება ფილიპსტაუნისაკენ. მას მისდევს კვალ-და-კვალ ბრიტარელთა ხუთი რაზმი. ყველა ფონებს ღარაჯთა რაზმები იცავენ; ყველგან ნალმებია გაკეთებული.

(იხილეთ საღამოს დებულება მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზარიში 25 იანვარს დებუმა მოსულა ლორენც-მარკუზი, რომ რკინის გზა კამპიტინტის და დედაგას უფრო შუა ბურებს დაჰქარეს.

ამასთანავე შინაარსის დებუმა დაბეჭდილი ინგლისურ გაზ. „სტანდარტ“-შია.

ლეობას. ქალები იყენენ: მაკო საფაროვი, მაშო ყიფიანი, ბაბო კარინთელი და ნატო გაბუნია. აგრეთვე საკუთარი მეპარიკე გეყანდა—პატარა დათიკო ამირაჯიბი, დღეს თავის ხელობის არტისტი. ხნოვანებით ქალები იყენენ 18—21 წლამდის, ხოლო კაცები—21 წლიდან მოკიდებული, და სულ უფროსი ჩვენში თუ იქნებოდა 27—29 წლისა, ბევრი რომ ვთქვათ.

ადილი წარმოსადგენია, როგორი სასიამო და მხიარული მოგზაურობა ექნებოდა ამ არტისტთა მშვენიერ ჯგუფს. მშვენიერის სურათების და ძვირფასი მოძმეთა ნახვის იმედებით აღფრთოვანებულნი (ბევრი ჩვენგანი „კორტოს“ არ გადასცილებოდა) მივტრდით დასავლეთისკენ... ვმღეროდით, ვხუმრობდით, ვხარხარებდით... მეტადრე როდესაც საუზმე გავმალეთ და ყველანი შემოვუსხდით! ძნელია ასეთი სხვა სიტყვობა იგემოს კაცმა. ჩვენ შევადგენდით ერთი ოჯახის შვილებს, და-ძმებს. ძნელი წარმოსადგენია ის და-ძმური გულ-წრფელი სიყვარული და პატივისცემა ერთმანეთისა, რომელიც მაშინ ჩვენ შორის სუფევდა. ჩვენი ქალები უწევდა, უფაჟაკოდ, ფხს არსად გადასდგამდნენ, თუმცა გზაში ხშირად შეხედებოდათ ხოლმე ნაცნობ-ნათესავებს, და ჩვენ, კაცები, თუ წავიდოდით სადმე სასიეროდ ანუ უცნობი ადგილების დასათვალისწინებლად, უთუოდ ქალებიც თან უნდა წაგვეყვინა. კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ დაბა-ქალაქებში, რა ხელადღენ

❖ ტაიში-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ერთი ინგლისელი ოფიცრისა. ეს ოფიცერი თითონ უოფილა ტუვედ ბურებთან. თავის წერილში ოფიცერი ქეტად აქებს ბურების ამტანლობას დაჰქარბის დროს. მე და ჩემ ამხანაგებს,—ამბობს ოფიცერი,—სწორედ გაგვიჩინდა ბურებთან საარული იმ 17 დღის განმავლობაში, როცა დევეტი ჩრდილოეთისკენ გაემართა. ერთჯერ ჩვენ რამდენავე დღე და დამეზღო. ზედ მოგვინდა სიარული, დღეში სამ საათს, მეტი ერთსულაც არ დაგვისვენიაო. ტუვედ ინგლისელები გამოჰქცევიან ბურებს 9 დეკემბერს, როდესაც დევეტის რაზმი ინგლისურ არტილერიას წასწვდებოდა. ყველა იმ ბურებს, რომელთაც კი ამ ოფიცერს ღაზარაკი ჰქონია, გარდაწვეტილი აქვთ ბოლომდე იბრძოდნენ. ბურებთან ერთად ბურები ინგლისელები იბრძვიან, რასაც იმათი წმინდა ინგლისური ღაზარაკი და მათგან ნამდერი ინგლისელი სიმღერა ჰმომშობსო. ბურების არტილერია, რომელსაც ერთი გერმანელი ოფიცერი უფროსობდა, მშვენიერად ისრავდა. დევეტის რაზმის ბურები ძალიან დიდ გაჭირვებას იტანდნენ, მაგრამ მაინც მხიარული სახე ჰქონდათ. პრეზიდენტი შტეინი იმათთან იმყოფება; ბურები დიდ ზატავს სცემენ იმას.

❖ ინგლისური გაზ. „დეილი ნიუს“-ის ბერლინელი კორესპონდენტი გაკვირვებულია იმ სიმძლავრით ინგლისელებისადმი, რომელსაც აშკარად იხევენ გერმანელები მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა ასეთი დიდი ზატავი სცეს იმათ იმპერატორს. როდესაც ბერლინის გაზეთებმა დედაფაფი ვიქტორიას გარდაცვალების შემდეგ ბურები წერილები დაბეჭდეს დედაფაფისა და ინგლისის შესახებ,—მაშინ რედაქციებს აუარებელი წერილები მოუვიდათ ხელის მოწერებისაგან, რომელნიც თხოულობდნენ, რომ ნუღარ სწერთ დედაფაფ ვიქტორიასზე; ის

ჩვენს მეგობრულ განწყობილებას ერთმანეთში, არასოდეს რამდენიმე რჩეულთ არ მიიწვევდნენ სანადიმოდ, უთუოდ ყველანი, გამოუკლებლივ უნდა მიეწვიათ. ხშირად, მოგზაურობის დროს, ჩვენი მეგობრული განწყობილება რომ უნახავთ, უთქვამთ: „ეს ქალი უთუოდ თქვენი და არის ან ეს იმისი ძმა“. ყველა ამას იმისთვის ეამბობ, რომ, როგორც ყველას მოგვხსენება, ყოველ საზოგადო თუ კერძო საქმეში უთანხმოება ხელის შემშლელი და დამლუპველია საქმისა. აი სწორედ ეს უთანხმოება სასტიკად განდევნილი იყო ჩვენგან. ამიტომ სასურველი და დაუფიქრარი ნაყოფი მოიტანა ჩვენმა უუტკბილესმა მოგზაურობამ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში: ბევრმა მიპაპა დასს, ბევრი მიემხრო მას და დღეს თვალსაჩინო არტისტები არიან... დღეს არამც თუ საქართველოს დაბა-ქალაქებში, იშვიათი სოფელი მოიპოვება, სადაც ქართული წარმოდგენები ათასში ერთხელ მაიც არ იმართებოდეს. მე ეს დიდებული მოვლენად მიმაჩნია (შედარებით), და ამ მოვლენის სათავე იწყება დრამატული დასის მოგზაურობიდან უფრო... საგანს ცოტა გადაუხვიე, მომიტყევეთ.

ესეც, მივედით გორში. გაჩერდა მატარებელი, გადმოვხტით სადგურზე, მაგრამ... ძნელია იმ ენტუზიაზმის, იმ უსაზღვრო აღტაცების გამოთქმა, როგორც ჩვენი გორის საზოგადოება დავიხვდა! სახალხო მატარებლების მოსვლის დროს ხომ ყველა

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 1365.

ხომ ჩვენი დედოფალი არ იყო: გთხოვთ რომ ბურჟუაზი და ბურჟუაზის ომზე სწავლობდით.

✱ კუნძულ კუბას საქმე ჯერაც არ ჩაითვლება გათავისუფლებად. წინააღმდეგ მთელი მსოფლიო, ამერიკელებმა დღემდე ვერ დაამარცხეს ამ კუნძულზედ წესიერება და მშვიდობიანობა. ბოლომდე დიქტატორის მიხედვით, კუბას მხარეებზე და დიქტატორის უმადოებლობის არიან შეერთებული შტატების მთავრობისა. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების კონგრესმა, როცა იმ დროს ესპანეთთან, დიდის უმეტესობით დადგინა, რომ კუბა თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა დარჩეს, რომ კუბელებს სრული უფლება ექნებოდათ თვით-მმართველობა დაწესონ, რაჟანს ამ ქვეყანაში ადგილებს იქნება წესიერება და მშვიდობიანობა და დაწესებულ იქნება მრავალ მთავრობა. ეს დადგენილება ამერიკის კონგრესმა საკმარისად გამოაცხადა. კუბელები მიუხედავად ამისთანა გადაწყვეტილებისა და თვით შეერთებული შტატების თანხმობით იმათ შეადგინეს კონსტიტუციის პროექტი და განზრახვა ქვეთ მალე პრეზიდენტი და დეპუტატები ამოიჩინონ. თავიანთ პროექტში კუბელები პირდაპირ აცხადებენ, რომ კუბა დამოუკიდებელი ქვეყანაა, რადგან ამ პროექტში ისინი ერთიან სიტყვით არ იხსენიებენ შეერთებულ შტატებს. რასაკვირველია, ესპანეთში ძალიან ცუდად შეჰყვანეს კუბელების ამისთანა მისწრაფებას; ამერიკის მთავრობა ამტკიცებს, რომ კუბა ჯერ არაა იმ მდგომარეობაში, როდესაც თვით-მმართველობის დაწესება უშიშრად შეიძლება ამ ქვეყანაში. ამერიკელი გაზეთები ამბობენ, რომ კუბაზედ, როგორც რადიკალიზმის და სხვა სამხრეთ-ამერიკელ რესპუბლიკებში, სწორად ასტვება რევოლუციები და შინაური სამოქალაქო ომები, რომლებსაც შეუძლიან გამოიწვიონ ომი და გადაკლება სხვა სახელმწიფოებთანაც. მაგრამ, ნამდვილი მიზეზი იქნება ამ შიშის არის შემდეგი: ამერიკელები ესხმა ძლიერ ნაზობენ, რომ კუბას სრულად დამოუკიდებლობას დაქირავენ; იმათ უნდათ, რომ კუბა ან სულ მთლად დაიმორჩილდეს, ან არა და თავიანთ მთავრობის ქვეშ მდინდეს იუფლიან. ამიტომ ესპანეთში ესხმა ეძებენ რაიმე სახით, რომ კუბაზე ჯერ და და სამხედრო გზებით დასტოვონ. ეოველ შემთხვევაში, კუნძული კუბა ძალიან ბევრს უსიამოვნობას და დარღვევებს პრეზიდენტ მაკ-კინლეის და იმის მთავრობას.

✱ როგორც დეპუტატმა მოკლედ გადმოგვცეს, ესტრადის პარლამენტის განხილვის დროს დიდი

შეთით და უწესიერება მოხდინეს დეპუტატებში. გაზეთები ამ უმად ბევრს სწავნიან პარლამენტზე და დეპუტატებზე, რომლებზეც თავი ისახელებს უწესიერების მოხდენით პარლამენტის განხილვის დროს. ასევე პარლამენტის დეპუტატები უფრო ახალგაზრდა კაცები არიან; მოხუცი ხალხი და თმა-ჭაღარა ძალიან იშვიათად ურევია. დეპუტატებში უფლებზე ძლიერ თავი იხსიან დეპუტატმა ჩვენს კლავში. ამ დეპუტატმა პარლამენტში უთხრა ხმა მადლიერ პირველ მინისტრს კერბერს: "ვინ თქვენ, თუ სოფელ სიტუვაში თუნდაც ერთი სიტუვა მინდებოდა, იქნებოდა წინააღმდეგ ჩვენის ერისა. თქვენ უკვე მოგვარეთ ხალხის დღეის დროს რამდენიმე ასი ათასი კაცი. მე და ჩემი ამხანაგები ჯერ კიდევ ვასუსებს მოგთხოვთ, მოიგათ მხოლოდ, წაიკითხეთ სოფელ სიტუვა! გაუთხოვთ დიდი!"

ამას კარდა, როდესაც პირველმა მინისტრმა კერბერმა მიჰმართა უფროსს დეპუტატს და სთხოვა დამჯდარიყო თავდამხმარის ადგილს, სამა ჩვენს—სოციალისტმა დაწვეს ჩვენზედ უფრო დიდი: "კერბერი მოგაქვს ჩვენზედ ილანარკოსა: ასტვება სიძნელეა აურ-ზაურა; ჩვენის დეპუტატების უფროსს საზღვარი არა ჰქონდა. აქაც უფლებზედ ძლიერ უფროდა კლავთ, რომელმაც მინისტრებს შესძინა: თქვენ უკვლავი ვერბო ხართ! შემდეგ, როცა თავდამხმარე წარმოსტევა უნდა იმპერატორ ფრანკ-იუსების პატრ-სენემად, ჩვენს—სოციალისტებმა ზურგი შეაქციეს თავდამხმარეს, კერბერს—სოციალისტები კი სულაც გაუდინეს პარლამენტის დარბაზიდან. მერე, როცა თავდამხმარე რამდენიმე სიტუვა წარმოსტევა კარდაცვლად და დედოფალ ვიქტორიას პატრისცემდა, კერბერმა რადიკალიზმს ასტვებს სამხედრო უფრო დიდი: "დაიღუპოს ინგლისი, გაუმარჯოს ბურჟუაზი! დაიღუპოს! ანტისემიტებმა და რამდენიმე საერო დასის წევრებმა ბანი მისცეს ამათ და ამ სიტუვებზე უფროდნენ. ცნობილ დეპუტატს ვოლგის უფროდი ცაში ადიდა; ის უფროდა: "დაიღუპოს დედოფალი ვიქტორია!"

როგორც ზეითაც იყო ნათქვამი, უფლებზედ ძლიერ მხედ და შეუპოვად იქცეოდა ჩვენს დეპუტატი კლავში. მართალია კერბერებს ძლიერ უკავრებოდათ მლადონებში, მაგრამ კლავში და მისმა ამხანაგებმა ძლიერ გადაჭარბეს. კლავში ესხმა ნამდვილად მთელი ესტრადის სალანარკო განდა. ჩვენში იმის ისე მიეგებენ, როგორცდენ კრფუნელ გიმის, როგორც განზადდის ან დეპუტატს.

პარლამენტ დიდებულნი მინიუსტრები გაუმართეს; ხალხი უფროდა: "დაიღუპოს საერო გიმის!" უფლები ჰქონეს: ვინ არის, ნეტა, ეს კლავშია.

კლავში ხელბოთ უფლები, ჯერ ასად-გაზდა, პნ წილის; ის დიდხანს თანამშრომლობდა პარლამენტს. "ნარდნი დისტა-ში. მაგრამ ეს მლადონებების გაზეთი და თითონ მლადონებების დასიც იმას უფროდა, დუნედ და სუსტად ქვეყნა და ის მიემართ ჩვენის ახალგაზრდას და მუშებს, რათა უფრო მხედ და მლადონად დაქვეა ბრძოლა ჩვენის ერის ინტერესების დასაცავად. აჩვენების დროს კლავში ძალიან გამარჯვებული გამოვიდა: ის ერთს და იმავე დროს ორ საარჩევნო ოქში ამოიჩინეს დეპუტატად. კლავშია ეკუთვნის ჩვენს ერს სოციალისტების დასა. თითონ კლავშის ამხანაგ დაუსურათ: ბიი თუკისი პოლიტიკური პრგრამმა: ჩვენ მივსდევთ სოციალზმად ჩვენს სიტუვებს: "მთელს ქვეყნიერებაზე ნურავის ნუ ენდობით". ჩვენი დევიზია: "ჩვენის სეიში ვიმუშავოთ, სოფელ ვენში—ვიბრძოლოთ!" სახელმწიფო ინტერესებზე შეტად ჩვენ გვჯამს მთელი ერის მოთხოვნებზე, სოფელ ერის მოთხოვნებზე ჩვენ მიგვანია: საარჩევნო წესების შეცვლა, სამუშაო დღის შემცირება, პრესის შესახებ კანონების შეცვლა და თავისუფალი ვაჭრობის შემოღება. ჩვენ გვსურს გიმის ბურჟუაზი თავ-განწირვით ვიბრძოლო ჩვენი ერის ინტერესების დასაცავად.

ბევრნი ჰეიქრობენ, რომ კლავში და იმის მმართველს დიდი მნიშვნელობა ექნებათ აწინდელი პარლამენტის საქმეებში.

ახალი ამბავი

✱ ქუთაისიდან გვწერენ, რომ კვირას, 4 თებერვალს, გელათის მონასტერში იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მეტეოლოგიური იქნება წირვა და პანაშვილი განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად, რომლის საფლავზე დაიდგმება მოსკოვიდან გამოწერილი ძეგლი.

✱ დღეს, 1 თებერვალს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 7 1/2 საათზე, მოხდება სხდომა მომავალ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის მოწყობის დროებით გამგე კომიტეტისა, თითქმის ნახევარზე მეტი ბალი მტკვარში წაიღო და დღესაც იმავე მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა, რომ როტონდა სულ სავე იყო ხოლმე. ან სად დევტვლით ამოღენა ხალხს: გორელები ხომ იყვნენ და იყვნენ—დიდი და პატარა, ესლა სოფლებიდან მოემატა თავაღ-ზნაურობა... ხალხში ხომ ჰეღა არ იყო, და ბევრი ერთი-ორად იძლეოდა ფულს, ოღონდ კარებიდან ან ფანჯრებიდან გვაყურებინეთო. ჩვენც ვაღებდით კარებსა და ფანჯრებს; ამგვარად ხალხი, რომლითაც სავე იყო მთელი ბაღი, სიამოვნებდა წარმოდგენის ნახვით. მეტი იქნება ვთქვა, რომ ამ წარმოდგენების გამო საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამ წარმოდგენებს ყოველთვის მოსდევდა დაუსრულებელი ვახშიში ამა თუ იმ ოჯახში ანუ რამდენიმე პატივცემულ ავან სასტუმროში გაკეთებული. ხშირად ვახშიზე მჯდომთ თავზედ დავათენდებოდა ხოლმე. მხოლოდ სადილად არსად არ დავდიოდით, რადგანაც ვფრთხილობდით, რომ საღამოზედ, წარმოდგენის დროს, ძალიან მზიარულად არ ვყოფილიყავით სცენაზე.

ტფილისის გაზეთებში გორელი კორესპონდენტები დიდს ქება-დიდებასა და აღტაცებას იწერებოდნენ დასისადმი. ჩვენ კერძოდ ვატყობინებდით თეატრის გულშემატკივრებს ჩვენს გამარჯვებას და საზოგადოების დიდს ყურადღებას ჩვენადმი. გორშივე ყოფნის დროს ბნმა გორგი თუმანიშვილმა მოგვამწვლა დანარჩენი სათეატრო ტანისამოსი, რომელიც მოგზაურობაში ასე თუ ისე საქრო იყო. ეს ტანისამოსი და ბ. გორგის

რომელსაც განსახილველად აქვს გაწვდნის შესახებ რამდენიმე საქმე. სხვათა მიწვევით არიან აგრეთვე სხვა სახ. ღობათა და სახელმწიფო დაწესებულები წარმომადგენელი.

✱ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ტფილისის ქალაქის თავის, იგი შეუდგა მომავალ გამოფენის საქმის მოწყობას და სთხოვა მას, რათა პირადი მრავლიერობა მიიღოს ამ საქმეში და იხსნოს ქ. ტფილისის წარმომადგენლის არჩევაზედ მოფენის კომიტეტისათვის.

✱ გამოფენის კომისარმა თავ. ი. ზ. ღორიკაშვილმა სთხოვა ტყისა და ბაღის მომწენველ-ხელმძღვანელ კომისიას, რომ მომავლის გამოფენის საბაღისა განყოფილებისათვის დაუთმოს სამეურნეო საზოგადოებას 1/2 დესიატინა ადგილი ქალაქის სანაგებში. კომისია კვირას დაათვლიერებს სხ. ნებულს ადგილს.

✱ ამიერ კავკასიის ქალაქების და დ. ბების უძრავ ქონებათ გადახდებთან მიმდნარე წელს: ტფილისის გუბერიაში—134,000 მან., ერევნისაში—29,000, თაისის გუბერიაში—63,000, განჯის გუბ.—29,000, ბაქოს გუბ.—104,000, ჩერმორის გუბ.—6000, ყუბანის ოლქში—45,000, ყარსის ოლქში—7000, და სტანში—10,000 და ზაქათალის ოლქში—800 მ.

✱ ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორი ქუთაისის სათავაღ-ზნაურო სკოლის ინსპექტორის თანამდებობაზედ დაამტკიცა ი. ოსტელი.

✱ როგორც შორაპნის მაზრის, ს. ს. რის ამერიკულ ეზის სანერგეს გამგის გარიშდანი სჩანს, 1900 წლის განმავლობაში სანერგესთან დაარსებულ გამოსაცდელ სკოლაში სწავლობდა 20 კაცი, ამათ წლის განმავლობაში სკოლიდან გამოსულ 10 და შემდეგ კიდევ მიუღიათ 8, ასე რ 1901 წლის 1 იანვრისათვის სკოლაში ყფილა სულ 18 კაცი. მოსწავლეთაგან კაცი ყოფილა აზნაური, 1 სასულიერო წოდებისა და დანარჩენი გლეხები. საანრიშო წელს სკოლის შესანახად დახარჯა 2,145 მანეთი და 95 კაპ.

✱ ამიერ-კავკასიის საქალგო ინსტიტუტში რამდენიმე მოსწავლე-ქალი ავად ტერიტით.

სადგური ხალხით იცხება, აქ სხვებს ჩვენი დამხედრნიც მიმაცხებოდნენ და სხვა ცნობის მოყვარნი. ამ გვარად სადგური წარმოადგენდა ხალხის ზღვას, რომელიც ჩვენს დანახვებზედ აღელვდა, შეირყა და "გაშას" ძახილით მოგვეგება. ხალხი მიგველოდა, რადგანაც გაზეთებიდან იცოდნენ ჩვენი მოგზაურობის განზრახვა და ჩვენ თითონაც წინად შევატყობინეთ, რომ ბინა და სათეატრო დარბაზი მოეწყოთ. თითქმის ყველა ჩვენგანს იცნობდა საზოგადოება გაზეთებით და ამიტომ, გადმოვიდით რა ვაგონიდან, ვის მეგობარი შეხვდა, ვის ნათესავი და ნაცნობი, ასტვდა ერთი ჟრიაში, ხევენა კოცნა, მშვიდობით მოსვლის მოლოცვა... მოპატიჟე ბევრი გამოგვიჩინდა და ორ-ოლ სამ-სამ კაცსა გვთხოვეს თვინათ სახლში ჩამოხდომა, მაგრამ ჩვენ მადლობა გამოუცხადეთ და მოვახსენეთ, რომ ცალ-ცალკე ჩვენი დადგომა ძნელია და რომ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ სადმე სასტუმროში, რადგანაც რეპერტიციები გვჭირია, ტანისამოსის არჩევა გვინდა და ბევრი რამ საქმის შესახები და ყოველთვის სად ვეძებოთ ერთმანეთი. პატივცემულმა ალალო თუთაშვილმა მთელი დასი მიიწვია თავის სახლში. მაგრამ ჩვენ დიდის მადლობით უარი მოვახსენეთ, თუმცა მაშინაც და შემდეგშიაც, როცა კი გორში ავიდოდით, ჩვენი ალალოს სახლი ჩვენთვის მუქთი სასტუმრო იყო: სადილ-ვახშიში, როცა გვნებავდა და არც ძალიან ვთაკილობდით მის სახლში დამის გათვას. ეს პატიოსანი ოჯახი, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის ესომებათ მაშინდელ მოგზაურ არტისტებს. საზოგადოდ

ბ. ალალოს ოჯახისაგან ძალიან დავაღებულა ქართული მოგზაური დასი. ამასთანავე უნდა აღვნიშნო გულწრფელი თავგამოდება და დახმარება განსვენებულის თავადის ნიკა დიასამიძისა, რომელიც მოყვარული ბავშვივით სულ უკან დაგვედდა და გვემუდარებოდა: აბა ყმაწვილებო, ყოჩაღად იყავით, თქვენ გენაცვალეთ! მომთხოვეთ, რაც დაგჭირდეთ: რა გაკლიათ, თეატრში რა გჭირიათ ან ცხოვრებით ხომ კმაყოფილნი ხართ"... მართალია და რაც დაგჭირდებოდა სცენისთვის, თ. ნიკოს მივმართავდით და განსვენებული იმ წამსვე აფრენდა ბიჭებს. დიდივე პატივი გვცა განსვენებულის დამ კნინა ნინო ერისთავისამ, რომელმაც რამდენჯერმე მიიწვია თავისთან სანადიმოდ მთელი დასი... და მრავალთა სხვათა. საზოგადოდ მიწვევას და აღტაცებული დროს გატარებას საზღვარი არა ჰქონდა.

თუთაშვილის, თ. დიასამიძის და სხვათა თაოსნობით ვიშოვეთ თავისუფალი სადგომი დიდ ქუჩაზე, ზუბიაშვილის სახლში, რომელშიაც დავგივითეს სამი ფართო ოთახი (მარკოზოვის სასტუმროს პირდაპირ), აქ ჩამოვხდით მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანათი. ქალებმა დაიჭირეს ერთი ოთახი, კაცები და ბარგი მოვახსენით ორ ოთახში, საჩქაროდ მშვენიერი ლოგინიც მოგვიტანეს ჩვენმა ძვირფასმა მასპინძლებმა. მეორე დღესვე დაიწყეთ რეპერტიციები და მივყავით ხელი წარმოდგენებს. წარმოდგენებს ვმართავდით როტონდაში, ხიდის ყურთან, ქალაქის ბაღში. მაშინ ეს ბაღი საკმაოდ მოწყობილი და ტურფა ხეებით სავე იყო... როგორც მოგვხსენებათ, ამ რამდენიმე წლის წინად

თითქმის ნახევარზე მეტი ბალი მტკვარში წაიღო და დღესაც იმავე მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა, რომ როტონდა სულ სავე იყო ხოლმე. ან სად დევტვლით ამოღენა ხალხს: გორელები ხომ იყვნენ და იყვნენ—დიდი და პატარა, ესლა სოფლებიდან მოემატა თავაღ-ზნაურობა... ხალხში ხომ ჰეღა არ იყო, და ბევრი ერთი-ორად იძლეოდა ფულს, ოღონდ კარებიდან ან ფანჯრებიდან გვაყურებინეთო. ჩვენც ვაღებდით კარებსა და ფანჯრებს; ამგვარად ხალხი, რომლითაც სავე იყო მთელი ბაღი, სიამოვნებდა წარმოდგენის ნახვით. მეტი იქნება ვთქვა, რომ ამ წარმოდგენების გამო საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამ წარმოდგენებს ყოველთვის მოსდევდა დაუსრულებელი ვახშიში ამა თუ იმ ოჯახში ანუ რამდენიმე პატივცემულ ავან სასტუმროში გაკეთებული. ხშირად ვახშიზე მჯდომთ თავზედ დავათენდებოდა ხოლმე. მხოლოდ სადილად არსად არ დავდიოდით, რადგანაც ვფრთხილობდით, რომ საღამოზედ, წარმოდგენის დროს, ძალიან მზიარულად არ ვყოფილიყავით სცენაზე.

ტფილისის გაზეთებში გორელი კორესპონდენტები დიდს ქება-დიდებასა და აღტაცებას იწერებოდნენ დასისადმი. ჩვენ კერძოდ ვატყობინებდით თეატრის გულშემატკივრებს ჩვენს გამარჯვებას და საზოგადოების დიდს ყურადღებას ჩვენადმი. გორშივე ყოფნის დროს ბნმა გორგი თუმანიშვილმა მოგვამწვლა დანარჩენი სათეატრო ტანისამოსი, რომელიც მოგზაურობაში ასე თუ ისე საქრო იყო. ეს ტანისამოსი და ბ. გორგის

წერილი გორში ამოგვიტანა ბნმა ადამ ბინაშვილმა, რომელიც შემდეგ მოგზაურ ბაში თან წამოგვყვა. ბნი გორგი მწერს "ბატონო ავსტენტო! შინაურმა საქმეებმა სხვა ათასმა ჰირომ არ მომცეს ნება, რწამოვსულვიყავი გორს და ამიტომაც დანჩენი თქვენი ბარგი გამოვატანე ბ. აღ რომელსაც გიგზავნი ამ წიგნთან ერთად. იღებთ აგრეთვე წიგნს, რომელშიაც ჩაწვლითა თქვენგან წაღებული ნივთები და რმელსაც აქლია თქვენი ხელის-მოწერა.

თუ მომიგონებთ მაგ ტკბილს მოგზაურ ბაში და მოინდომებთ ჩემთან წიგნის მორას, მომწერეთ შემდეგის ადრესით:

Въ редакцію „Тифлисск. Вѣстни Георгію Мих. Туманову.

თქვენი პატივისცემული გორგი თუმანიშვილი, 24 ივნის 1879 წ."

ერთ კვირამდის დავრჩით გორში, რამნიმე წარმოდგენა გაგმართეთ, რომლით დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილნი დარჩით ჩვენცა და საზოგადოებაც. კვალად ვიბარგეთ, წამოვიკიდეთ ჩვენი გულანაზა და გავეწიეთ რკინის გზის სადგურისკენ თითქმის მთელი გორი გამოგვყვა სადგურსა კალკილებლად. შემდეგ მრავალის გამოხოვებულის სიტყვებისა, ჯან-საღად და გამჯვებით დაბრუნების სურვილის გამოც დების ჩვენს გამოკლებულთაგან, ჩავსვენებტარებელში და გავუღებთ გზას გულღვლიანნი ძვირფასის საზოგადოების დღევების გამო. ჩვენზედ არა ნაკლებ გულღვლიანი დავტოვეთ საზოგადოება, რომელ ისე შეგვეჩვია და შეგვეთვისა, რომ ჩვენი შორება აღარ უნდოდა.

ხაზი. აქამდე ერთი სკოლა გაჭირდა ს. სტეფანოვიძის იქ. ად. სახ. და ესეა მეორეც დაგვიანდა სკოლა. სხვა, ბ. ინსტიტუტის მანინაშვილის მეტადინობით. სკოლის შენობის აგება კი ჩაგონა ხელის ადგილობრივმა მფლობელმა ბ. სირაძემ. ბ.მ. ინსტიტუტის დაგვიანება მასწავლებელად ახლად ტფილისის სასულიერო სემინარიის სწავლა დათმავრებული ახალგაზრდა ემწოდო კაცი ერმალაზ სირაძისა.

სტეფანოვიძის სკოლა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს, მაგრამ ამ ცოტა ხანში სულ ოთხი მასწავლებელი გამოიცვალა. ამ გარემოებაში, რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად სკოლა ზედაც იმოქმედებს. ერთი მასწავლებლის მიერ გამოწვებად საქმეს მეორე სასურველად ვერ აგრძელებდა. მაგალითად, ავადოთ ბიბიხეთის საქმე, რომელიც დაიწყო სტეფანოვიძის უფროსი მასწავლებელმა გ. ნ.; მან შეაგროვა საკმაო რიცხვი წიგნებისა და მოდიოდა უკვლავ ქართული გამოცემები. მას აქვთ აგრეთვე ოთხი წიგნი და არა თუ არა მომეტებულია წიგნთ-საცავს, ზიარებით, ძველი წიგნებიც დაიკრება. ეს-დანდელი მასწავლებელი ბ.ნი კაკაძე ცდილობს ისევ ფეხზე დაეყენოს ბიბლიოთეკის საქმე.

აგრეთვე თვით სკოლა, რაც სტეფანოვიძის მფლობელს მფლობელი არა ჰქვია. მფლობელიც ხშირად იცვლებოდა და ესეც ცოტათი აფერხებს სტეფანოვიძის საქმეს.

ბ. ლუდუშაური

წერილი რედაქციის მიმართ.

I

წარსული წლის დეკემბერს თქვენი პარტიკულური გაზრდის ერთ ერთ ნომერში სტუდენტის ვაჟაიძის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ წავიკითხეთ და განვიზრახეთ შეძლების დეგრადაც დასმარება აღმოგვეჩინა მისთვის. გიგზავით 21 მან. და 20 კაპ. და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ შემოსენებულ სტუდენტს შემდეგის ადრესით:

ტფილისი, ალექსანდრეს ქუჩა, № 22, სოფიო ვაჟაიძის სადგომი.

ამასთანავე გიგზავნით შემოწმებული სიას და გთხოვთ თქვენ გაზრდით მათავსოთ: თ. ნ. ა. ჯანდუერი 3 მ., თითო მანეთი: კნ. ე. ი. აფხაზის, კნ. ქ. ე. აფხაზის, კნ. დ. ფ. ჯანაძის, ად. სოფ. შიშინაშვილის, ევა ბარ-საბოვის, ელის. ად. ფხაძის, კნ. ბაბაღი ვანაძის, თ. ალექსანდრე ჯანდუერი, № 22, ალბა აგრეკინის, კნ. მარამ დ. ანდრეიკა-შვილის, პეტროვის, თ. ნიკ. შერ. აფხაზი; ათათი შაური: კნ. მაკო ვანაძის, კნ. ნინო ათანასეს ასული ვანაძის, კნ. დრო ვანაძის, მელა ელიზბეგოვი, ოფცა სიმონაშვილი, მანამ ბოსტაშვილის, კნ. თებერა ვანაძის, კნ. ელ. გორ. ვანაძის, კნ. ელისაბედ ვანაძის ასული ვანაძის, ან. ავ. და კნ. თამარ ვანაძის 20 კ.—სულ 21 მან. და 20 კაპ.

მიიღეთ და სხვ. კნ. ელენე ილიას ასული აფხაზი და ალექსანდრა სოლომონის ასული შიშინაშვილისა. 22 იანვარს 1901 წელს ს. კარდენახი (სიღნაღის მაზრა).

II

სულთ და გულთ ვხარბოთ და საზოგადოებით გვგებოთ ამ გვარ კეთილ საქმეს, რადგან არის დაარსება გაჭირვებულ ქართველ სტუდენტთა დახმარებელი საზოგადოების. დამოხმის გთხოვთ ამ ახლა მომავალში განხორციელებულ იქნას ეს კეთილი და ფრად სიმამრური აზრი, რომ ჩვენ დარბს და ხელ მოკლე, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლე ახალ თაობას მიეცეს სასწრაო სწავლის და თავის გა-მოკვებისა.

ამასთანავე გაასდგოთ რა ჩვენს მტერს წელიწადს 11 მ. 40 კ., უმორჩილესად გთხოვთ გარდას-ცეთ ვისაც ვერ არს, რომ იგი მიეპატრონოს ქართველ სტუდენტთა დახმარებელ საზო-გადოებისას, თუ ეს უკანასკნელი შესდგება და თუ არა, მაშინ გადაეცეს მომავალ დღათა სას-წავლებელს.

გთხოვთ ამ მტერს წერდეს ადგილი დაუთ-მეთ თქვენ პარტიკულურ გაზრდით.

ქ. ე. ზედგინიძე, ქ. ე. ვარდიშვილი, ქ. ა. ჩინ-ჩალაძე, ბ. გ. სიამიშვილი, ბ. ე. პაატაშვილი.

ქ. ერევანი.

III

ბ. რედაქტორ! გვზავნი ამასთანავე არტა-ანში შეგროვებულ ფულს შეუძლებელ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ, რომელთა გაჭირ-ვებული ცხოვრება გვატყობს თქვენმა პარტიკულ-რულმა გაზ. ცნობის ფურცელზე; ამასთანავე ქვემოთ მფიქსენიებ შემოწმებული სიასაც, რომელსაც უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენის გაზრდის რომელიმე ნომერში: მისიელ ხმადაცემ 1 მ., გერასიმ სანაძე 3 მ., ზაქარია ჯაფარიძე 1 მ., ალექსანდრე ჯანი-უხაშვილი 2 მ., ივანე მაგრაშვილი 1 მ., პეტრე პატრასაძე 1 მ., მდგალა ზარხაძე 3 მ., ისმაილ-ბეგ გაჭიკვა 1 მ., ზაფხუ ყაი-ლის ძე ფიშინა 1 მ., ნიკოლოზ კასპარ-ს ძე დორეზგასკი 50 კ., სეიმონ ფილიპეს ძე კლიუგაძე 50 კ., ს. ფ. ლ. 50 კ., გერასიმ კაკაძე 1 მ., ნოე კანდელაკი 1 მ., ნიკო-ნებაძე 50 კ., ნიკო გრიგორაშვილი 1 მ., გერასიმ დასაშიძე 1 მ., ვასილ ჯაფარიძე 1 მ., ბესარიონ გვარამაძე 1 მ., ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ტრიგანინი 1 მ., ივანე-ბეგ ასლან-ბეგის ძე 1 მ.—სულ ჯამა ფულისა შესდგა ოცდა-ოთხი მანეთი.

მ. ა. ხმადაცე.

ქ. არტანი, 23 იანვარი 1901 წ.

IV

უდამეს მადლობას გუცხადებ ბ. ს. ჯეიშვილს და მასთან უკვლა იმ ზიარებს, რომლებიც შემ-წობა აღმოგიჩინეს.

სტ. კ. ნინაძე.

25 იანვარი, ქ. იურევი.

სასამართლო

I

სამშაბათს, 30 იანვარს, ტფილისის სა-მოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქ-მე ქუთაისის გუბერნიის, ლეჩხუმის მაზრის, სოფელ ოყურეთის მცხოვრების გიორგი ანტონის ძის მუშკუდიანისა, რომელსაც თვისის მეზობლის გოგია მუშკუდიანის მოკვ-ლა ჰპარდებოდა; ბრალდებულს გიორ-გის და აწ უკვე გარდაცვალებულ გოგიას და პავლე მუშკუდიანებს ჰქონათ საზიარო სადაო ტყე. გიორგის მოუტრია ამ ტყეში მარგილი, მაგრამ გამოხიდა მეზობლებს არ დაუბეგებოთ და 1900 წლის 11 მარტს მოსვლიათ ჩხუბი. ჩხუბის დროს გიორგის უსრლოია რევოლვერი გოგიასათვის, რომელიც ისე მძიმედ დაჭრილა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. ქუთაი-სის ოლქის სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გიორგი მუშკუდიანს განუცხადებია, რომ მე ამ საქმეში დამნაშავე არა ვარო, რადგანაც არ მახსოვს, რომ მე ვისთვისმე რევოლვერი მესროლოდა; მხოლოდ როცა ჩემი მეზობლები მომცვიდნენ, ასტეხეს რევოლვერების სროლა, მე წავიქციე ამოვი-ღე რევოლვერი, მაგრამ არ გამისროლია კიო ზოგ მოწმებს უჩვენებიათ, ვითომც ჯერ პავ-ლე მივარდნიყოს გიორგის, სამჯერ რევოლ-ვერი მესროლოს მისთვის და ხოლო გოგიას ჯოხით ცემა დაეწყოს, ზოგს კი რომ ვი-თომც გიორგის თითონ უმიზეზოთ მოე-ხვედრებინოს გოგიასთვის ტყვია. ოლ-ქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია გიორგი მუშკუდიანი გოგია მუშკუდიანის განზრახ მოკვლის საქმეში და გარდაუწ-ვეტია ზოგიერთ უფლებს უპირატესობათა ჩამორთმევა და სამი წლით პატიმართა გა-მასწორებელ რაზმში გაგზავნა. სამოსამართ-ლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართ-ლოს გარდაწყვეტილება.

II

შორაპნის მაზრის, დ. საჩხერის მცხოვრე-ბის ხელოსან დავით ქურდიშვილისათვის მიუბარებია ხელობის შესასწავლად რაქის მაზრის, სოფ. ხოტევის მცხოვრებს არსენა კობახიძეს თავისი შვილი პავლე და რადგა-ნაც სწავლის ფასად 60 მანეთად გარიგე-ბულან, ხოლო წინდაწინვე ფული ვერ მო-უხერხებია, კობახიძეს ქურდიშვილისათვის

მიუცია 60 მანეთის გეჰსილი. რადგან არსენა კობახიძეს ვერ გარდაუხდია ხელოსანისთვის ფული მაშინაც კი, როცა პავლეს სწავლის ვალა-გაუთავებია, ამიტომ მამას იგი დაუ-ყენებია 1 წლით მასთან ამ ფულის ჯამა-გირში გამოსაბრუნად. ერთი თვის სამსა-ხურის შემდეგ პავლეს 60 მან. ვეჰსილი მოუბარავს და შინ წასულა. ქურდიშვილი პავლე კობახიძე გამოტყენილა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს, განუხილავს რა ეს საქმე, გარდაუწყვეტია კობახიძისათვის 3 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. სამოსა-მართლო პალატამ სამშაბათს, 30 იანვარს, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

III

სამშაბათს, 30 იანვარს, ტფილისის სა-მოსამართლო პალატამ დაამტკიცა ტფილი-სის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილე-ბა, რომლითაც გამართლებულ იქნა დუ-შეთის მაზრის მცხოვრები დიმიტრი ივანეს ძე კეზელი, რომელსაც ჰპარდებოდა კავ-კასიის მეოთხე ადგილობრივ დრუჟინის ჯა-რის კაცის დავით ტოტიას ძის არაბულის დაქრა.

IV

ამავე დღეს სამოსამართლო პალატამ გა-ნიხილა საქმე ზუგდიდის მაზრის, სოფელ ტყას მცხოვრების მურზა ტოტიას ძის ჯან-ჯღავის, რომელსაც შემდეგი დანაშაულო-ბის ჩადენა ჰპარდებოდა: 1899 წლის 1 იანვარს აღნიშნულს სოფელში რაღაც მი-ზეზისა გამო ჩხუბი მოსვლიათ ბრალდებუ-ლის ძმას გუთუასა და იმავე სოფლის მცხო-ვრებს ქუჩული მიქავას; როცა მურზას ჩხუ-ბის ამბავი შეუტყვია, მიუბრუნია მათთან, თითონაც ჩარეულა ჩხუბში და ხანჯ-ლით მძიმედ დაუჭრია მიქავა თავსა და ხელში; მიქავას ხელი კიდევ დაშავებია. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, დამნაშავედ უცვნია მურზა ჯანჯღავა მიქავას განზრახვით და-ქრაში და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლებს უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთი წლითა და ექვსი თვით გაგზავნა. ჯანჯღა-ვას ოლქის სასამართლოს განაჩენი განუ-საჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალა-ტაში, რომელმაც 30 იანვარს, განიხილა-რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ჯანჯღავა და გარდაწყვეტილი სასჯელი შეუმცირა 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრებით.

საღამოს დებეშები

31 იანვარი.

ბაგლინი. გერმანიის ქვრივი დედოფა-ლი, ბევრის აზრით, საშიშოდ არის ავადო.

მემა. მილანის გვამის დაკრძალვის სამ-გლოვარო ცერემონია დანიშნულია პარას-კევსათვის ეკლესიის წესის შესრულების შემდეგ. ამ ცერემონიის დროს მილანს პატივს სცემენ, როგორც მეფეს. საგანგე-ბო მატარებელი, რომელშიაც იქნებიან აგრეთვე სასახლის უმაღლესი წარმომადგე-ნელნი, მიასვენებს მეფის გვამს კრუსედო-ლის მონასტერში.

ცეზინი. ჩერნოგორიის მთავარმა გამო-უცხადა სერბიის მეფეს მწუხარება და მშუ-რი თანაგრძნობა.

მემა. დეპუტატთა პალატა. ერც-გერცოგ ფრანც-ფერდინანდის დეკლარაციის შესა-ხებ, რომელიც მეგვიდრეობითს უფლებას ართმევს ერც-გერცოგისა და გრაფინია ხო-ტეკის შვილებს, კრამარჟმა განაცხადა ჩხე-ბის მხრივ, რომ ჩხეები უარსა ჰყოფენ რეხსტაგის კონვენციის ამ საქმეში და თხოულობენ, რომ ყოველივე ამ საქმის შესახებ ეკითხებოდეს ჩხეების წარმომადგენ-ლებს; ამიტომაც გორნის იმ წინადადების განხილვაში, რომელიც თხოულობს—ეს სა-ქმე გადაეცეს საგანგებო კომისიასო, ჩხეები მონაწილეობას არ მიიღებენ; შემდეგ ჩხეებმა დასტოვეს პალატის დარბაზი. გო-

ნის წინადადება მიღებულ იქნა, რის შემ-დეგაც მინისტრ-პრეზიდენტმა წარმოადგე-სიტყვა, რომელშიც უარსა დადგენილებს რათა ისინი პარტიკულარულ საქმეებს დაე-ნებოდნენ.

ვაშინგტონი. ამერიკის ხაზინამ რუსე-თის ზაქარს ფუთხედ 64 კაპ. ბაჟი და-დო.

მასსარუ. ინგლისელებმა დაიჭირეს ფიქს-ბურგი; იმათთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ვებენერი ინგლისელებმა დას-ტოვეს და ბურებმა დაიჭირეს.

კოლსამბი. ბურების რაზმი 28 იანვარს გაჩნდა გამვლფონტენში, სადაც ბრძოლა მოხდა. ერთი ინგლისელი მოკლულ იქნა. ბურები მრავლად დგანან სიმალღებზე დო-კუმენტის უკან, კორვალსპონტის ჩრდი-ლოეთით.

ლორენსო-მარკეზი. მოვიდა დრო ცი-გებ-ცხელებისა და ავადმყოფთა რიცხვი სა-შინლად მატულობს. ქალაქში მუდმივ ბევ-რი ავადმყოფია. ინგლისელთა შორის ძა-ლიან ბევრი დაიხოცა; ბევრი მოხელე გაგ-ზავნეს საავადმყოფო გემ „ორკანაზე“. კო-მატიპორტიდან თითქმის ყოველ დღე მო-ლიან აქ ბარგის გემები ავადმყოფებით, რომელნიც გადაჰყავთ ისედაც ავადმყოფებით გავესებულ გემ „ორკანაზედ“. დაიხოცნენ აგრეთვე ბევრი აქ გამოქცეული ბურთაგან-ნიც.

ბაგლინი. ვალდერზე იტყობინება პე-კინიდან, რომ მსროლელების როცა სამთო არტილერიით, რომელიც გაგზავნილი იყო იენკინში, დღეს დაბრუნდა, რადგანაც იქ საკმაოა ცხენოსანთა რაზმი.

პაოტინფუ. ამ ბოლო ხანებში გაიგზა-ვნენ რაზმები იმ ხუთ საოლო ქალაქის სა-მუდამოდ დასაქვრად, რომლებიც გერმანე-ლების მოკმედების წრეში არიან; ყოველ ქალაქში დგას თითო როცა, რათა მცხოვ-რებლები დაიკვან ძარცვისა და ძალ-მომ-რეობისაგან.

ლონდონი. ხელმწიფე მეგვიდრე და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე 29 იანვარს ლონდონიდან წამოვიდა.

ბუხარესტი. თავადმა გიორგი კანტაკუ-ზენმა უარი განაცხადა კაბინეტის შედგე-ნაზედ.

რედაქტორი
ად. ჯეონა.
გამომცემელი
ად. ჯაბაძარი

განცხადება

მხატვრობა-ხელოვნების

სახელოსნო

ვიტებ სამუშაოს ხატების, პორტრეტების, ოქროში დაფუჭვის, ვიდეკების, დეკორაციე-ბის გაკეთებისა და აგრეთვე სამალიარო სა-მუშაოებს; ვაძლევ მხატვრობის გაკეთილებს

პ. პ. ბოგატირიოვი.

მალაზია და სახელოსნო იმყოფება ვერის აღმართზე, ყორღანოვის ქუჩის კუთხეზე, მეტურნუთოვის სახლში. (1—1)

დაიგვად და გააოვიდა გასაყიდად

ლექსები

დავით გაბრუაშვილისა

ფასი სუთი ქაური.

ვინც ოც ცალზე მეტს იყიდის ნაღზე, მანეთზე ხუთი შაური დაემოძა.

უმთავრესი საწყობი: „წერა-კითხვის სა-ზოგადოების“ წიგნის მალაზიაში.

(10—4)